



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სტუდენტთა
კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

თბილისი
2020

სტუდენტების კონტიგენტის გამოსათვლელი ფორმულა ეფუძნება მარეგულირებელ დოკუმენტებს. ყველაზე მნიშვნელოვან ცვლადებს წარმოადგენენ მაქსიმალური სასწავლო დატვირთვა და სასწავლო ჯგუფების მოცულობა.

ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა დერეგულირებულია. რაც ნიშნავს იმას, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება სასწავლო დატვირთვისა და ჯგუფების მოცულობასთან დაკავშირებით, თავიანთი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გათვალისწინებით. ამ დროს მხედველობაში მიიღება აკადემიური პერსონალის მართვისა და სასწავლო ჯგუფების მოცულობის სივრცით შესაძლებლობებთან შეთავსების პრინციპები.

სტუდენტების კონტიგენტის გამოსათვლელი ფორმულის აგება გამყარებულია სტუდენტი/ლექტორის შეფარდებით. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ გამოირჩევა ძალიან დაბალი სტუდენტი/ლექტორის შეფარდებით, რაც წარმოადგენს ღირებულ აქტივს მომავლის პერსპექტივაში.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ამჟამინდელი ჩარიცხვა დაბალია პოტენციურ შესაძლებლობაზე, აკადემიური პერსონალის რაოდენობისა და სივრცითი მოცულობის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, სტუდენტების კონტიგენტის გაზრდისა ან ახალი პროგრამის დამატების გეგმები აუცილებელია დამტკიცდეს ფორმულით და აფასებდეს აკადემიური პერსონალის გაზრდის საჭიროებას.

სტუდენტების კონტიგენტის გამოსათვლელი ფორმულა მოიცავს მხოლოდ აქტიურ სასწავლო დატვირთვისა და საათებს. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ფორმულის აგების მთავარ მიზანს წარმოადგენს ზუსტი კავშირის პოვნა სტუდენტების მოცულობას, ლექტორების რაოდენობასა და ხელმისაწვდომ სივრცეს შორის. აქტივობები, რომლებიც არ არიან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულნი, ასევე, სტუდენტების მიერ დამატებითი დროის გატარება შენობაში არ ზრდის ლექტორის დატვირთვის და არ უქმნის საფრთხეს სწავლების ხარისხს. აქედან გამომდინარე, მსგავსი

ფაქტორების გათვალისწინება ფორმულაში არ ხდება.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კონტიგენტის დათვლისას არ გაითვალისწინება ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობაც. მომსახურება, რომელსაც ადმინისტრაციული პერსონალი ეწევა წარმოადგენს უმაღლესი განათლების დამხმარე ფუნქციას. ზოგიერთი მათგანის აუტოსორსინგიც შეიძლება განხორციელდეს (დასუფთავება, ინფორმაციული სისტემები, პროგრამული განვითარება) თუ ეს გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ ახორციელებს სტუდენტების კმაყოფილების შემფასებელ კვლევას და კითხვარების საფუძველზე ამოწმებს მიწოდებული მომსახურების ხარისხს.

სტუდენტების კონტიგენტის გამოსათვლელი მოდელი თანმიმდევრულად დაფუძნებულია ოთხ ფორმულაზე:

პირველ ფორმულას, რომელიც გულისხმობს სივრცითი შესაძლებლობების გამოთვლას, აქვს კონტროლის ფუნქცია. იგი უნდა უზრუნველყოფდეს შენობა-ნაგებობების მოცულობის ადეკვატურობის განსაზღვრას სტუდენტების როგორც არსებული, ასევე მომავალი რაოდენობის განვითარების თვალსაზრისით.

მეორე ფორმულა ზოგადად ეხმაურება სტუდენტებსა და ლექტორებს შორის ბალანსის დაცვას, აქედან გამომდინარე, სტუდენტი/ლექტორის ადეკვატური შეფარდების უზრუნველყოფას. ამით შესაძლებელი იქნება სწავლების მოთხოვნასა და სწავლების მიწოდებას შორის წონასწორობის შენარჩუნება.

მესამე ფორმულა შესაძლებლობას იძლევა სტუდენტების კონტიგენტი გამოითვალოს კონკრეტული სასწავლო პროგრამისთვის.

საბოლოოდ, მეოთხე ფორმულა უზრუნველყოფს სტუდენტების კონტიგენტის გამოთვლას ყველა სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით.

ფორმულა N1: სივრცითი შესაძლებლობის გამოთვლა

$$\alpha R_h \geq N_a \times W_a$$

ზემოთაღნიშნული უტოლობა წარმოადგენს ინსტიტუციონალური სივრცითი შესაძლებლობის განსაზღვრის საშუალებას, როგორც აუდიტორიების რაოდენობის, ასევე ამ აუდიტორიების აქტიური სასწავლო დატვირთვის გათვალისწინებით. უტოლობის მიხედვით აუდიტორიების ჯამური რაოდენობა გამრავლებული α კოეფიციენტზე მეტი ან ტოლი უნდა იყოს სასწავლო ჯგუფების რაოდენობის ნამრავლზე საშუალო სასწავლო დატვირთვისათან.

ფორმულა N2: წონასწორობის განსაზღვრა სასწავლო მოთხოვნასა და მიწოდებას შორის

$$N_t \times T_t \geq N_g \times W_w$$

ზემოთმოყვანილი უტოლობის მიხედვით პროგრამაში ლექტორების რაოდენობისა და მათი საშუალო დატვირთვის ნამრავლი მეტი ან ტოლი უნდა იყოს პროგრამაში სასწავლო ჯგუფების რაოდენობის ნამრავლის პროგრამაში კვირეულ აქტიურ სასწავლო დატვირთვისათან.

აღნიშნული უტოლობიდან გამომდინარეობს პროგრამაში სასწავლო ჯგუფების რაოდენობის გამოსათვლელი ფორმულა:

$$N_g = \frac{(N_t * T_t)}{W_w}$$

ფორმულა N3: პროგრამაში სტუდენტების მოცულობა

სტუდენტების მოცულობა კონკრეტული სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით (S_p) შედგება ორი ნაწილისგან:

1. სასწავლო ჯგუფების რაოდენობა პროგრამაში (N_g)
2. სასწავლო ჯგუფების მოცულობა შეჩეული სასწავლო პროგრამისთვის (S_g)

$$Sp = Ng \times Sg = \frac{(Nt \times T)}{Ww} \times Sg$$

ფორმულა N3 ითვალისწინებს პროგრამაში ჯგუფების რაოდენობას (Ng)-ის, რომელიც გამოითვლება პროგრამაში ლექტორების რაოდენობისა და მათი საშუალო დატვირთვის ნამრავლის შეფარდებით კვირეულ აქტიურ სასწავლო დატვირთვისათან. ხოლო საბოლოო ჯამში, პროგრამაში სტუდენტების მოცულობა დაითვლება პროგრამაში ჯგუფების რაოდენობისა და შერჩეული პროგრამისთვის სასწავლო ჯგუფების მოცულობის ნამრავლთან.

ფორმულა N4: სტუდენტების კონტიგენტის განსაზღვრა ყველა პროგრამის გათვალისწინებით

საბოლოოდ, სტუდენტები კონტიგენტის გამოსათვლელი ფორმულა ყველა პროგრამის გათვალისწინებით წარმოადგენს პროგრამების მიხედვით სტუდენტების მოცულობის ჯამს.

$$Sa = \sum_{i=1}^n Sp = Sp(1) + Sp(2) + Sp(3) + \dots + Sp(n-1) + Sp(n)$$

ლექსიკონი:

α -ხელმისაწვდომი სასწავლო საათების მოცულობა კვირის განმავლობაში (12X6=72 საათი);

Rh- აუდიტორიების რაოდენობა;

Na-სასწავლო ჯგუფების საერთო რაოდენობა ინსტიტუციონალურ დონეზე.

Ng- პროგრამაში სასწავლო ჯგუფების რაოდენობა;

Wa- საშუალო აქტიური სასწავლო დატვირთვა ყველა სასწავლო პროგრამისთვის;

Nt- პროგრამაში ლექტორების რაოდენობა;

Tl -პროგრამაში ლექტორის საშუალო დატვირთვა;

Ww -პროგრამაში კვირეული აქტიური სასწავლო დატვირთვა;

Sg - პროგრამაში სასწავლო ჯგუფების მოცულობა;

Sp- პროგრამაში სტუდენტების მოცულობა;

Sa -სტუდენტების კონტიგენტი ყველა სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით (MAX).